განახლებულია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
N01/01-38 (22.05.2025) ბრძანებით

დებულება
გამოცდების ჩატარების წესის შესახებ

მუხლი 1. დებულების მიზანი

1.1 წინამდებარე დებულება ადგენს კავკასიის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერისტეტი) გამოცდების ჩატარების წესს;

1.2 დებულების მიზანია უზრუნველყოს სწავლების ყველა საფეხურზე ერთიანი პროცედურით შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზება და ჩატარება;

1.3 დებულება ატარებს შიდანორმატიულ სამართლებრივ ხასიათს და შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სკოლების დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

1.4 წინამდებარე დებულებით დადგენილი პირობების დაცვა და ხელმძღვანელობა სავალდებულოა საგამოცდო პროცესებში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულისა და პირისათვის.

მუხლი 2. გამოცდაზე დაშვების პირობები

2.1. სტუდენტი შუალედურ/დასკვნით გამოცდებზე, საგამოცდო მასალის მიღებამდე, წარადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას (პასპორტს/მართვის მოწმობას) მატერიალური სახით. თუ სტუდენტს არ აღმოაჩნდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი/მართვის მოწმობა) მატერიალური სახით, სტუდენტს არ შეულია და შესაბამისად, დამკვირვებელი არ მიიღებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ელექტრონულ ვერსიას. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვერ მიიღებს საგამოცდო დავალებას და მან უნდა დატოვოს საგამოცდო სივრცე. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დაკარგული აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან ცვლის ამ დოკუმენტს, იგი გამოცდაზე დაიშვება იუსტიციის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის საფუძველზე, თუ ეს ინფორმაცია სტუდენტს წინასწარ დადასტურებული აქვს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტში.

2.2. სტუდენტის დაგვიანება დასაშვებია გამოცდის დაწყებიდან პირველი 15 წუთის განმავლობაში (აქ მოიაზრება მხოლოდ დაგვიანების შემთხვევები და არა სპეციალურად 15 წუთიანი დროის გამოყენება სტუდენტის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის, საგამოცდო მასალის გადასამეორებლად), დამკვირვებელს არ აქვს უფლება სტუდენტს აუდიტორია/საგამოცდო სივრცე დაატოვებინოს დაწყებიდან 15 წუთის განმავლობაში.

2.3. გამოცდის დაწყებიდან პირველი 15 წუთის გასვლის შემდეგ გამოცდაზე მოსული, დაგვიანებული სტუდენტი გამოცდაზე აღარ დაიშვება. ასეთ სტუდენტს მიეცემა უფლება აღადგინოს გამოცდა, თუმცა ასეთ შემთხვევაში სტუდენტის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%. აღნიშნული პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება გამოცდის აღდგენაზე და გადაბარებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდნეტს გამოცდის აღდგენაზე ან მის გადაბარებაზე 15 წუთის გასვლის შემდეგ მისვლის შემთხვევაში, აღარ ექნება გამოცდის აღდგენის/გადაბარების უფლება.

მუხლი 3. გამოცდის განრიგი

3.1. გამოცდების განრიგს ამზადებს სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „დეპარტამენტი“);

3.2. შუალედური და დასკვნითი გამოცდების პერიოდი, თითოეული გამოცდის კონკრეტული თარიღისა და ჩატარების დროის მითითებით, ასახულია გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე გამოცდების ელექტრონულ ბაზაში სტუდენტის პირად გვერდზე, ხოლო გამოცდების ჩატარების ადგილის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე 1 კალენდარული დღით ადრე.

3.3. აღდგენითი შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის დროის და ადგილის შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 1 სამუშაო დღით ადრე.

3.4. გამოცდები ტარდება ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით.

3.5. თუ გამოცდის გადატანა მოხდა ტექნიკური ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, სტუდენტს უნდა ეცნობოს გამოცდის თარიღამდე მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე.

მუხლი 4. გამოცდების ჩატარების ფორმა, ვადები და ხანგრძლივობა

4.1. უნივერსიტეტში, ყოველ სასწავლო წელს, სწავლების ყველა საფეხურზე, შუალედური და დასკვნით გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით;

4.2. შუალედური/დასკვნითი გამოცდა ერთსა და იმავე სასწავლო კურსში შეიძლება ჩატარდეს გაერთიანებული სახით;

4.3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო დავალების სტრუქტურა და შეფასების კრიტერიუმები შეთანხმებული უნდა იყოს წინასწარ შესაბამისი სკოლის პასუხისმგებელ პირთან. საგამოცდო დავალება უნდა იყოს სტუდენტებისთვის გასაგებად გადმოცემული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

4.4. შუალედური/დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობითი, ზეპირი ან/და ელექტრონული ფორმით.

4.5. საგამოცდო დავალების გამრავლებას და გამოცდისთვის მომზადებას, უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენებით, უზრუნველყოფს დეპარტამენტი.

4.6. შუალედური/დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

4.7. სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის წინასწარ შეირჩევა გამოცდის ჩატარების ფორმატი და დროის ხანგრძლივობა.

მუხლი 5. გამოცდის ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები

5.1. გამოცდის პროცესზე მონიტორინგს ახორციელებენ დამკვირვებლები, რომლებიც შეირჩევიან დეპარტამენტის მიერ.

5.2. დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად, გამოცდას შეიძლება დაესწროს ლექტორიც.

5.3. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის მიმდინარეობისას აწარმოოს დეპარტამენტის მიერ მომზადებული გამოცდის მსვლელობის ოქმი (იხილეთ დანართიN1).

5.4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე (მათ შორის, აღდგენა/გადაბარების დროს) დაკვირვება განახორციელოს ვიდეოთვალის საშუალებით, ხოლო, ელექტრონული ფორმატის გამოცდებზე, მეთვალყურეობა განახორციელოს მონიტორინგის პროგრამით და ისარგებლოს უნივერსიტეტის საგამოცდო პროგრამით, რაც წინასწარ ცნობილი უნდა იყოს სტუდენტებისათვის.

მუხლი 6. ლექტორის მიერ საგამოცდო საკითხების წარდგენის წესი

6.1. საგამოცდო საკითხებს ამზადებს სასწავლო კურსის ლექტორი/ლექტორები;

6.2. ლექტორი ვალდებულია შესაბამის გამოცდამდე ერთი კვირით ადრე, სკოლას ელექტრონული სახით (მეხსიერების ბარათზე ჩაწერილი) წარუდგინოს შუალედური გამოცდის მინიმუმ სამი, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმუმ ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი.

6.3. თუ სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდა სტუდენტმა უნდა ჩააბაროს პრეზენტაციის ან/და ზეპირი სახით, შესაძლებელია გამოცდაზე მოწვეულ იქნას სხვა ლექტორი ან/და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

6.4. თუ ერთსა და იმავე სასწავლო კურსში გამოცდა სხვადასხვა დროს ტარდება, გადაწერის თავიდან აცილების მიზნით, საგამოცდო საკითხები ჯგუფებისათვის უნდა იყოს განსხვავებული.

6.5. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის/დამატებითი გამოცდის საკითხები არ უნდა იყოს უკვე ჩატარებული გამოცდის იდენტური.

6.6. ლექტორის მიერ საგამოცდო საკითხების შინაარსი ყოველ მომდევნო სასწავლო წელს უნდა იყოს წინა წლის საკითხებისგან მინიმუმ 60%-ით განსხვავებული.
6.7. სკოლა,საგამოცდო საკითხებს, უნივერსიტეტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, გადასცემს დეპარტამენტს გამოცდამდე 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
6.8. სკოლა ვალდებულია შეამოწმოს საგამოცდო საკითხები რამდენად შესაბამისობაშია სილაბუსთან, შეამოწმოს საგამოცდო დავალების კონტენტი, მისი სტრუქტურა, წარმოდგენილი საგამოცდო ვარიანტების მსგავსება/განსხვავება.
6.9. თუ გამოცდის ვარიანტში რომელიმე საკითხი შეცდომით არის მოცემული, აღნიშნულ დავალებაში სტუდენტს ეწერება შეცდომით მითითებული საკითხისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულა.

მუხლი 7. გამოცდების ჩატარების წესი

7.1. სტუდენტს უფლება აქვს საგამოცდო სივრცეში იქონიოს მხოლოდ კალამი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საგამოცდო ფურცელზე დაფიქსირებული მასალა/ტექნიკური აღჭურვილობა.
7.2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ გამოცდაზე ისეთი აქსესუარის/ნივთის (ქუდი/კეპი, თავსაბურავი (გარდა რელიგიური ვალდებულებისა), ჰუდი (თუ სტუდენტი იყენებს მის ქუდს), ყურსასმენი, მობილური ტელეფონი, ელექტრონული საათი და სხვა) გამოყენება/ტარება, რომელიც იწვევს გადაწერის მცდელობის ეჭვს. გამოცდაზე თმები უნდა იყოს შეკრულ მდგომარეობაში. ასევე, დაუშვებელია სტუდენტს სხეულზე ამოტვიფრული ჰქონდეს რაიმე არამუდმივი სახის წარწერა (შინაარსს არ აქვს მიშვნელობა, ამ პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი ფაქტის დაფიქსირება არის უკვე გადაცდომა). ამ პუნქტით გათვალისწინებული რაიმე სახის გადაცდომის დაფიქსირება გამოიწვევს გამოცდის განულებას.
7.3. დამკვირვებელს უფლება აქვს სტუდენტები სამუშაო ადგილას გადაანაწილოს თავისი შეხედულებისამებრ. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის მითითებებს. დამკვირვებლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება „0“ ნული;
7.4. შუალედური/დასკვნითი (მათ შორის, აღდგენა/გადაბარების) საგამოცდო ნაშრომი არის ანონიმური. სტუდენტმა მხოლოდ საგამოცდო ნაშრომის თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ საგამოცდო ნაშრომი იშიფრება და გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად;
7.5. საგამოცდო ნაშრომის ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში შემოხაზული უნდა იყოს მხოლოდ ერთი პასუხი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კითხვა ითვალისწინებს ორი ან მეტი პასუხის შემოხაზვას), სხვა შემთხვევაში, პასუხი არ ჩაითვლება;
7.6. საგამოცდო ნაშრომის ტესტურ (ე.წ. მრავლობითი არჩევანის შეკითხვების) ნაწილში, პასუხის გადასწორების, გადაშლის ან/და სხვა პასუხის შემოხაზვის შემთხვევაში პასუხი არ ჩაითვლება.
7.7. სტუდენტის მიერ საგამოცდო ნაშრომში ისეთი სახის მოსაზრებების დაფიქსირება, რომელიც კავშირში არ არის საგამოცდო დავალებასთან ან მის პასუხთან და რომლის მიზანიც არის ლექტორზე რაიმე ტიპის გავლენის მოხდენა/მინიშნება და არღვევს სტუდენტის ანონიმურობას. ასეთ საგამოცდო დავალებაში, ლექტორის ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, სტუდენტს გაუფორმდება შეფასება „0“ ნული. იმ შემთხვევაში, თუ ლექტორმა გაითვალისწინა სტუდენტის მინიშნება, ასეთ შემთხვევაში, საკითხს განიხილავს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისია. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ლექტორმა არ გაითვალისწინა სტუდენტის მინიშნება, მაგრამ არც გაუნულა საგამოცდო დავალება, ასეთ დროს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია სტუდენტს, შესაბამის საგამოცდო დავალებაში გაუფორმოს შეფასება „0“ ნული, ამასთან სკოლა (რომელ სკოლასაც ეკუთვნის ლექტორი) ლექტორს აძლევს გაფრთხილებას;

7.8. შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე იკრძალება სტუდენტის მიერ მასალის/ტექნიკური აღჭურვილობის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. მისი გადაცემა ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%.

7.9. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტმა ხელისაწევით უნდა მოიხმოს დამკვირვებელი და ჩუმად დაუსვას შეკითხვა. ნებისმიერი ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა, რომელიც შეეხება საგამოცდო ნაშრომს და სავარაუდოდ, მიზნად ისახავს სხვა სტუდენტისათვის სწორი პასუხის ან ამოხსნის გზის კარნახს, შეფასდება, როგორც კარნახის მცდელობა და გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%.

7.10. გამოცდაზე იკრძალება ხმამაღალი საუბარი, გადალაპარაკება, ნებართვის გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, გამოსაცდელის ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა. აღნიშნული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 20%. 7.11. წინამდებარე დებულების 7.8-7.9 მუხლებით განსაზღვრული გადაცდომის იმავე გამოცდაზე განმეორების შემთხვევაში, გამოსაცდელის ნაწერს დააკლდება მიღებული ქულის 50%, ხოლო მესამეჯერ დარღვევის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, გამოსაცდელს შესაბამის სასწავლო კურსში გაუფორმდება შეფასება ,,F".

7.12. ნებისმიერი ფორმატის (მათ შორის, ელექტრონული სახის) გამოცდაზე კატეგორიულად იკრძალება გადაწერა ნებისმიერი საშუალებით. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში (გადაწერის ფაქტი შეიძლება დაფიქსირდეს როგორც დამკვირვებლის მიერ, ასევე შესაძლებელია გამოიკვეთოს ვიდეოთვალის საშუალებით ან შესაძლოა გადაწერის/პლაგიატის შემთხვევა, ლექტორმა აღმოაჩინოს ნაშრომის გასწორების დროს), სტუდენტს განემარტება დარღვევის არსი, მოიხსნება გამოცდიდან, შესაბამის გამოცდაში გაუფორმდება შეფასება – ნული და სტუდენტი კარგავს ამ კონკრეტული სასწავლო კურსის დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლებას. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა დაფიქსირდა დასკვნით გამოდაზე, სტუდენტს აღნიშნულ სასწავლო კურსში საბოლოო სახის შეფასებად გაუფორმდება "F" და სტუდენტი ვერ ისარგებლებს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებით. იგივე წესი მოქმედებს, თუ ფაქტის დაფიქსირება ხდება ლექტორის მიერ, ნაშრომის გასწორების დროს.

7.13. წინამდებარე დებულების 7.12 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები გაფორმდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოიცემა დეპარტამენტის წარმომადგენლის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;

7.14. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომების შეფარდებისას, არ გამოიყენება კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულებით დადგენილი წესები;

7.15. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნის და განულების შესახებ;

7.16. გამოცდის მიმდინარეობისას აკრძალულია დამკვირვებლის ნებართვის გარეშე სტუდენტის აუდიტორიიდან გასვლა;

7.17. სტუდენტი, რომელიც გამოცდის მსვლელობისას, შეუძლოდ ყოფნის მიზეზით, დატოვებს აუდიტორიას, თან უნდა გაჰყვეს დამკვირვებელი. თუ სტუდენტი თავს იგრძნობს უკეთესად, მას მიეცემა საშუალება გააგრძელოს გამოცდა, ხოლო თუ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სტუდენტი ვეღარ დაუბრუნდება გამოცდას, სამედიცინო ცნობის საფუძველზე (ცნობის/ფორმა 100-ის/სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ გაცემული დოკუმენტის პერიოდი უნდა ემთხვეოდეს ან მოიცავდეს გამოცდის გაცდენის თარიღს), მას მიეცემა აღდგენით გამოცდაზე გასვლის უფლება.

7.18. დამკვირვებელი ვალდებულია 30 წუთის ინტერვალით აცნობოს აუდიტორიას საგამოცდო ტესტის ამოწურვამდე დარჩენილი დრო;

7.19. წინასწარ განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ, ყველა საგამოცდო ნაშრომი ბარდება დამკვირვებელს;
7.20. დამკვირვებელმა გამოცდის მსვლელობის შესახებ შევსებული ოქმის მიხედვით სტუდენტების ნამუშევრები უნდა ჩააბაროს დეპარტამენტს.
7.21. თუ გამოცდის შედეგების შემოწმებისას (გამოცდის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში) ლექტორს წარმოეშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სტუდენტმა გადაიწერა, ან რამდენიმე სტუდენტის ნაშრომი არის იდენტური, ლექტორი უფლებამოსილია მოითხოვოს საკითხის განხილვა.
7.22. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გაასაჩივრებს მის მიმართ გატარებულ ზომებს, საკითხს განიხილავს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში; სტუდენტთა მომსახურეობისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი და დამკვირვებელი.

მუხლი 8. გამოცდების გასწორება და შეჯამება

8.1. ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი საგამოცდო ნაშრომი შეაფასოს ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში;
8.2. შემოწმებულ შუალედურ/დასკვნით საგამოცდო ნაშრომებს ლექტორი აბარებს დეპარტამენტს განშიფვრისა და შეფასებების ელექტრონული ნიშნების ბაზაში შესაყვანად.

მუხლი 9. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენის პროცედურები

9.1. სტუდენტს შეიძლება მიეცეს შუალედურიან/და დასკვნითი გამოცდის აღდგენის უფლება დეპარტამენტის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მხოლოდ მაშინ, თუ გაცდენა მოხდა საპატიო მიზეზით;
9.2. სტუდენტი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, იმავე დღეს ან გაცდენიდან არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შეავსოს აღდგენის ფორმის ელექტრონული განცხადება, რომელიც ავტომატურად ეგზავნება დეპარტამენტს. გაცდენის მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა შეუძლია ატვირთოს ელექტრონულ განცხადებასთან ერთად ან გამოცდის თარიღიდან ერთი კვირის ვადაში წარადგინოს დეპარტამენტში, რათა მოხდეს განხილვა გაცდენილი პერიოდის საპატიოდ ჩათვლის შესახებ. სტუდენტის მიერ, ზემოაღნიშნული მოთხოვნების (მათ შორის, მითითებული ვადების) დაუცველობის/დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს სტუდენტის მოთხოვნა გაცდენილი პერიოდის აღდგენის თაობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდება 7.22. პუნქტში ხსენებული კომისიის მიერ, საკითხის ინდივიდუალური განხილვა და გამოცდის ფორმატის შერჩევა.
9.3. სტუდენტის მიერ შუალედური/დასკვნითი გამოცდის გაცდენა საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გადაუდებელ შემდეგ შემთხვევებში: ავადმყოფობა (რაც დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო ცნობის/ფორმა 100-ის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე და დოკუმენტის პერიოდი უნდა ემთხვეოდეს ან მოიცავდეს გაცდენილი გამოცდის თარიღს), მივლინება, ქორწინება, ჯვრისწერა, უბედური შემთხვევა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება ან სხვა შემთხვევა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა შეფასდეს საპატიოდ დეპარტამენტის მიერ.

მუხლი 10. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგები და მათი გასაჩივრება

10.1. ლექტორი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგები გააცნოს სტუდენტებს და მისცეს მათ განმავითარებელი შეფასება;
10.2. დეპარტამენტი ვალდებულია შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგები მიღებისთანავე გააცნოს სტუდენტებს უნივერსიტეტის საიტზე ელექტრონული ნიშნების ბაზაში ასახვის გზით;

10.3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება და მოითხოვოს გასწორებული ნამუშევრის გაცნობა.

10.4. სტუდენტი გამოცდის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, წერს განცხადებას ვიცე-პრეზიდენტის სახელზე ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში და დასაბუთებულად აღწერს რა ნაწილში არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას.

10.5. ლექტორს სტუდენტის განცხადება და საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა სამი სამუშაო დღის ვადაში.

10.6. ლექტორი, ნაშრომის გადაცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგენს მოხსენებით ბარათს (დანართი 2), სადაც ის არგუმენტირებულად პასუხობს სტუდენტის განცხადებას და საჭიროების შემთხვევაში, ცვლის შეფასებას. ლექტორის გადაწყვეტილება, დეპარტამენტის მიერ, იმავე დღეს ეცნობება სტუდენტს.

10.7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება მის საჩივარზე ლექტორის გადაწყვეტილებას, მაშინ იგი ერთი სამუშაო დღის ვადაში წერილობითი სახითმიმართავს ვიცე-პრეზიდენტს ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში, რომელიც მიმართვიდან ორი სამუშაო დღის ვადაში ქმნის კომისიას. კომისიის შემადგენლობაში შედიან: სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, სკოლის წარმომადგენელი, უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, ომბუდსმენი და შესაბამისი დარგის სხვა სპეციალისტი. იმ შემთხვევაში, თუ დარგის სპეციალისტის შეფასება რადიკალურად განსხვავდება საგნის ლექტორის შეფასებისგან, კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის გარე ექსპერტი.

10.8. კომისია ხმათა უმრავლესობით, იღებს შემდეგი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს:
- უცვლელად ტოვებს საგნის ლექტორის შეფასებას;
- ცვლის საგნის ლექტორის შეფასებას.

10.9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო და აისახება ნიშნების ელექტრონულ ბაზაში. ხოლო, შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 11. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო (სადისერტაციო) ნაშრომის შეფასების გასაჩივრების წესი

11.1. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო (სადისერტაციო) ნაშრომში მიღებული შეფასების გასაჩივრების წესები მოცემულია კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში.

მუხლი 12. საგამოცდო მასალების დაარქივება

12.1. სემესტრის ბოლოს საგამოცდო მასალები მიეწოდება რეესტრისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს არქივში გადასაცემად, რომელიც ინახება 3 წლის ვადით.

მუხლი 13. ზეპირი საგამოცდო პროცესის ორგანიზება და წარმართვა

13.1. ზეპირი გამოცდა ტარდება ლექტორის ან კომისიის მიერ (სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე).

13.2. კომისიის მიერ ზეპირი გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, გამოცდა ტარდება შემდეგი პროცედურების დაცვით:

13.2.1. სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას. კომისიაში შეიძლება შედიოდნენ: სკოლის წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი, შესაბამისი კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორი და დაწესებულების ლექტორ(ებ)ი, რომელ(ებ)საც აქვს აკადემიური ხარისხი იმავე ან მომიჯნავე დარგში.

13.2.2. ზეპირი გამოცდა ტარდება კომპონენტის განხორციელების ენაზე.

13.2.3. კომისიის წევრები სტუდენტს აფასებენ ინდივიდუალურად, სილაბუსში მოცემული შეფასების წესის მიხედვით.

13.3. კომისიის საბოლოო შეფასება აისახება ოქმში.

მუხლი 14. აღდგენით გამოცდაზე გასვლა

14.1. ზეპირი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, აღდგენით გამოცდაზე გასვლა ხდება წინამდებარე დებულების მე-9 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 15. გამოცდების ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცება

15.1. გამოცდების ჩატარების შესახებ დებულებას სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი;

15.2. დებულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი წარადგენს მოხსენებით ბარათს უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე;

15.3. გამოცდების ჩატარების წესის რომელიმე ნორმის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს დანარჩენი ნორმების იურიდიულ ძალაზე.

15.4. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე.

სასწავლო
კურსი: საგამოცდოოქმი
ლექტორი: #

აუდიტორია:
დრო:

#	გვარი, სახელი	დასწრების აღრიცხვა	-20%	-50%	განულება	შენიშვნა	

დამკვირვებელი:
თარიღი: _____

დანართი #2. კავკასიის უნივერსიტეტის
ვიცე-პრეზიდენტს ადმინისტრაციულ
და მონიტორინგის დარგში

_____

_____

(საგნის კოდი და დასახელება)

ლექტორის_____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

მოხსენებითი ბარათი

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ხელმოწერა: _____

თარიღი:_____